IV კლასი 2022 წელი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

ქართულის მასწავლებელი _____

დავალება, რომელიც ფასდება 2 ქულით

მოცემულ წინადადებაში რომელ ბრუნვაში დგას ხაზგასმული არსებითი სახელი

1. **ძლიერ ქარს სახურავები დაეზიანებინა.**

   ა) სახელობითი ბ) მოთხრობითი გ) მიცემითი დ) ნათესაობითი

დავალება, რომელიც ფასდება 3 ქულით

2. **რომელი სიტყვა წერია შეცდომით?**

   ა) დედა-მიწა ბ) და-ძმა გ) მთა-ბარი დ) ფეხბურთელი

დავალება, რომელიც ფასდება 5 ქულით

ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს შეურჩიე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები

უღრან ტყეში ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკი ისმოდა. პატარა ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა. ხის ტოტზე ჩამომჯდარი შაშვი მშვენიერი ბუნებით ტკბებოდა.

3. **სასიამოვნო**

   ა) ჭკვიანი ბ) საამური გ) უსიამოვნო დ) დაბმული

4. **მშვენიერი**

   ა) ამწვანებული ბ) უშნო გ) აყვავილებული დ) მომხიბლავი

ტექსტის მიხედვით უპასუხე შეკითხვებს

ტყის ხანძარი

ზაფხულობით ტყეში ჰაერის სიმშრალე მატულობს. გასული წლის ფოთლები, წიწვები და ხავსი ხომ ერთიანად ხმება. მთელ ამ გამომშრალსა და ხმელ მასას ადვილად ეკიდება ცეცხლი, ამიტომ, ივლის-აგვისტოში ტყეში ხშირად ჩნდება ხანძარი, იწვის მცენარეები, იღუპებიან ნადირ-ფრინველები.

ნახანძრევზე ტყის განახლებას ძალიან დიდი ხანი სჭირდება.

არჩევენ ტყის ზედა, ქვედა და მიწისქვეშა ხანძრებს. ყველაზე საშიშია ტყის ზედა ხანძარი. იგი ჩნდება ტყის ქვედა ნაწილში წარმოქმნილი ხანძრისაგან და ქარის საშუალებით ვრცელდება ზევით. წიწვიან ტყეებში ასეთი ხანძრის სისწრაფე ქარის მიმართულებით საათში 30-50 კილომეტრს აღწევს.

მიწიქვეშა ხანძარი წარმოიქმნება ტორფიან ჭაობებში, ხანგრძლივი გვალვების შედეგად. ამდროს ხავსი და მის ქვეშ მდებარე ტორფის ფენა ძალიან შრება.

მიწისქვეშა ხანძარი დიდხანს, ზოგჯერ თვეების განმავლობაში გრძელდება და იშვიათად ზამთარშიც არ ქრება. გარდა იმისა, რომ ნადგურდება ტყე, ტორფის წვისაგან ავარდნილი მავნე ბოლი ტყიდან დიდ მანძილზე წამლავს ჰაერს.

ხანძარი ტყის ყველაზე საშიში მტერია. ტყეში ხანძრის გაჩენაში, სამწუხაროდ, ხშირად ადამიანებიც სცოდავენ. დიდები თუ პატარები ტყეში ანთებენ კოცონს, ხოლო შემდეგ ავიწყდებათ - ბოლომდე არ აქრობენ მას.

ხანძარი ტყეში ზოგჯერ თვითონ წარმოიქმნება. მიზეზი ხეზე მეხის დაცემაა.

თითოეულმა ჩვენთაგანმა ყველაფერი უნდა იღონოს ხანძრის თავიდან ასაცილებად.

დავალებები, რომელიც ფასდება 7 ქულით

5. **როდის ჩნდება ადვილად ცეცხლი ტყეში?**

   ა) გაზაფხულზე ბ) შემოდგომით გ) ზაფხულში დ) ზამთარში

6. **რა უწყობს ხელს ტყის ზედა ხანძრის გავრცელებას?**

   ა) სიცხე ბ) წვიმა გ) მზე დ) ქარი

7. **რა მიზეზით შეიძლება გაჩნდეს ხანძარი?**

   ა) ნისლით ბ) მეხის დაცემით გ) ქარით დ) სეტყვით

დავალებები, რომლებიც ფასდება 8 ქულით

8. **რა საფრთხეს უქმნის ხანძარი ტყეს?**

I - ნადგურდება მცენარეები

II- ბინძურდება წყალი

III- საფრთხე ექმნებათ ცხოველებსა და ფრინველებს

IV- ჰაერი დიდ მანძილზე იწამლება

ა) I - II ბ) I – IV გ) II-III დ) I – II – III – IV

9. **რა დანაშაული შეიძლება მიუძღოდეს ადამიანს ტყეში გაჩენილ ხანძარზე?**

ა) აწყობენ პიკნიკს და არ ასუფთავებენ ტყეს.

ბ) ანთებენ კოცონს, მაგრამ არ აქრობენ.

გ) ჭრიან ხეებს.

დ) მონადირეები ანადგურებენ ფრინველებსა და ცხოველებს.

10. **რამდენნაირ ხანძარს არჩევენ ტყეში?**

ა) ზედა ბ) ქვედა გ) მიწისქვეშა დ) სამივე

ტესტები, რომლებიც ფასდება 10 ქულით

11. **რა დრო ჭირდება ნახანძრალი ტყის განახლებას?**

ა) დიდი დრო ბ) ძალიან დიდი ხანი გ) მცირე დრო დ) სამი წელი

12. **რის მატებასთან არის დაკავშირებული ხანძრის გაჩენა ტყეში?**

ა) ჰაერის სიმშრალის ბ) ჰაერის ტენიანობის გ) ორივე დ) არც ერთ

13. **რომელია ბრძანებითი წინადადება?**

ა) დაიცავი ტყე! ბ) როგორ ავიცილოთ თავიდან ხანძარი?

გ) ნახანძრალზე ტყის განახლებას დიდი დრო სჭირდება. დ) არც ერთი

14. **რომელია ზმნა მოცემულ წინადადებაში „ დიდები და პატარები ტყეში ანთებენ კოცონს“ ?**

ა) კოცონს ბ) დიდები გ) ანთებენ დ) პატარები